

მარსის იმიტირებული პირობებში მიკროორგანიზმების ევოლუციის რიცხვითი კვლევა

□ ათუნა ელბაქიძე

მიკრობებისა და სხვა ორგანიზმების ბიოქიმიური ადაპტაციური მექანიზმები და მათი განმაპირობებელი გენეტიკური ნიშან-თვისებების კვლევა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც ისინი განსაზღვრავენ დედამიწის გარემოს მიღმა მათი გადარჩენის შესაძლებლობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მომავალში, მკაცრ პლანეტურ პირობებში, დასახლებული სადგურების და ხელოვნურ საცხოვრებელ გარემოთა სტაბილური ფუნქციონირებისათვის. □მ მიზნით არსებული მათემატიკურ მოდელზე დაფუძნებით და პლანეტა მარსის გრუნტისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით დამუშავებულ იქნა მათემატიკური ფორმულირება, რომელიც აღწერს ბაქტერიების ზრდის შესაძლებლობას მარსის გრუნტში. □ატარებულია რიცხვითი სიმულაციები, □იღებულია პირველადი შედეგები, დამყარებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ბაქტერიების ზრდისა და კლების მახასიათებლებს შორის.